სავედრებელი პარაკლისი

წმიდისა მოციქულისა თომა მარჩბივისა

მღდელი: კურთხეულ არს-ი.

და უკეთუ ერისკაცია, იტყჳს: უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა, შეგჳწყალენ ჩუენ, ამინ.

დიდებაჲ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკჳდრე ჩუენ შორის და წმიდა-მყვენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგჳწყალენ ჩუენ (3-გზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგჳწყალენ ჩუენ; უფალო, გჳკსენ და გჳლხინე ცოდვათა ჩუენთაგან; მეუფეო, შეგჳნდვენ უსჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩუენნი სახელისა შენისათჳს.

უფალო, შეგჳწყალენ (3-გზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს, და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა და ნუ შემიყუანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

მღდელი: რამეთუ შენი არს სუფევაჲ...

უფალო, შეგჳწყალენ (12-გზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა მეუფესა და ღმერთსა ჩუენსა.

უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისაჲ, ყურად-იღე ვედრებაჲ ჩემი ჭეშმარიტებითა შენითა, შეისმინე ჩემი სიმართლითა შენითა; და ნუ შეხუალ საშჯელსა მონისა შენისა თანა, რამეთუ არა განმართლდეს შენ წინაშე ყოველი ცხოველი, რამეთუ დევნა მტერმან სული ჩემი და დაამდაბლა ქუეყანად ცხორებაჲ ჩემი, დამსუა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკუდარი საუკუნოჲ. და მოეწყინა ჩემთანა სულსა ჩემსა, და ჩემ შორის შემიძრწუნდა გული ჩემი. მოვიჴსენე დღეთა პირველთაჲ, და ვიწურთიდ ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა და ქმნულსა ჴელთა შენთასა ვზრახევდ. განვიპყრენ შენდამი ჴელნი ჩემნი, და სული ჩემი, ვითარცა ქუეყანაჲ ურწყული შენდამი. მსთუად შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა; ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, და ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მღჳმესა. მასმინე მე განთიად წყალობაჲ შენი, რამეთუ მე შენ გესავ; მაუწყე მე, უფალო, გზაჲ, რომელსაცა ვიდოდი, რამეთუ შენდამი აღვიღე სული ჩემი. მიჴსენ მე მტერთა ჩემთაგან, უფალო, რამეთუ შენ შეგევედრე. მასწავე მე, რაჲთა ვყო ნებაჲ შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი; სული შენი სახიერი მიძღოდეს მე ქუეყანასა წრფელსა. სახელისა შენისათჳს, უფალო, მაცხოვნო მე და სიმართლითა შენითა

გამოიყვანო ჭირისაგან სული ჩემი. და წყალობითა შენითა მოსრნე მტერნი ჩემნი და წარსწყმიდნე ყოველნი მაჭირვებელნი სულისა ჩემისანი, რამეთუ მე მონაჲ შენი ვარ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაჲ შენდა ღმერთო.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაჲ შენდა ღმერთო.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაჲ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

ღმერთი უფალი და გამოგჯჩნდა ჩუენ, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა.

მუკლი 1. აუვარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი.

მუკლი 2. ყოველი თესლები გარე მომადგა მე, და სახელითა უფლისაჲთა ვერეოდე მათ.

მუკლი 3. არა მოვკუდე, არამედ ვცხოვნდე, და განვსთქუნე მე საქმენი უფლისანი.

მუკლი 4. ლოდი, რომელი შეურაცხყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა, უფლისა მიერ იყო ესე, და არს საკჯველ წინაშე თუალთა ჩუენთა.

ტროპარი, კმაჲ 2

იქმენ მოწაფე ქრისტჱსი, საღმრთოთა მოციქულთა კრებულსა თანა აღრაცხულ, ხოლო ურწმუნოებითა ქრისტეს აღდგომაჲ გამოიძიე, და მისისა პატიოსნისა ვნებისა განხილვითა, ირწმუნე, თომა, ყოვლად ქებულო, და აწ გვითხოვე ჩუენ მშვიდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ტროპარი

მოციქულო წმიდაო თომა, ევედრე მოწყალესა ღმერთსა, რაჲთა ცოდვათა შენდობაჲ მოგვანიჭოს და სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

არასადა დავსდუმნეთ, ღმრთისმშობელო, ძლიერებათა შენთა ქებად, უღირსნი ესე მონანი შენნი. რამეთუ არათუმცა შენ გვფარევდი ოხითა შენითა, ვინმცა სადა გჯჯსნნა ჩუენ ესოდენთა ჭირთაგან; ანუ ვინმცა დაგვიცვნა ჩუენ აქამომდე ფლობილად? არასადა განგეშორნეთ ჩუენ, დედოფალო კურთხეულო, რამეთუ შენ იკსნი სულთა ჩუენთა ყოველთა განსაცდელთაგან.

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღკოცე უსჯულოებაჲ ჩემი. უფროჲს განმბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე, რამეთუ უსჯულოებაჲ ჩემი მე უწყი, და ცოდვაჲ ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ, რაჲთა განმართლდე სიტყუათაგან შენთა და სძლო სჯასა შენსა, რამეთუ ესერა, უსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან. რამეთუ ესერა, ჭეშმარიტებაჲ შეიყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე. მასხურო მე უსუპითა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და უფროჲს თოვლისა განვსპეტაკნე. მასმინო მე გალობაჲ და სიხარული და იხარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი. გარე მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი აღკოცენ. გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაჲ და სულითა მთავრობისაჲთა დამამტკიცე მე. ვასწავლნე უსჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენდა მოიქცენ. მიჯსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხორებისა ჩემისაო; იხარებდეს ენაჲ ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუენ, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა. რამეთუ უკეთუმცა გენება, მსხუერპლი შე-მცა-მეწირა, არამედ საკუერთხი არა გთნდეს. მსხუერპლი ღმრთისა არს სული

შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ჰყოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღეშენნენ ზღუდენი იერუსალიმისანი. მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაჲ, შესაწირავი და ყოვლად-დასაწველი, მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.

გალობაჲ 1, უგალობდითსა, კმაჲ 4

ძლისპირი: დაანთქენ ვნებანი სულისა ჩემისანი სიღრმეთა ვნებათა ძლევისასა, უფალო, ქალწულისაგან შობილო, ვითარ დაანთქ ძლიერებაჲ აღჭურვილთა სპარეზენთაჲ, და გიგალობდეს შენ ძლევისა ებნითა.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

ღირსად პატივს-გცემთ შენ, ვითარცა ქრისტეს მოციქულსა, და გევედრებით ოხასა წინაშე ჯუარცუმულისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა, რაჲთა განგვწმიდოს ცოდვათაგან და აღგვჭუროს მღვიძარებითა საღმრთოჲთა.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

გიგალობთ შენ, ვითარცა თუალით მხილველსა და ჴელით-მსახურსა ქრისტჱსა, და აღგძრავთ მწედ მისა მიმართ, რაჲთა დაგვიფაროს ბოროტისა მახეთაგან და გულნი ჩუენნი დაამტკიცოს სარწმუნოებასა ზედა ჭეშმარიტსა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა

იხარებს ქრისტეს ეკლესიაჲ და გვიწესს ჴსენებასა შენსა, რაჲთა საკჳრველსა მას ღუაწლსა შენსა ვაქებდეთ, ყოვლად დიდებულო მოციქულო, და გევედრებოდეთ ჴსნასა ყოველთა სენთა და ვნებათაგან.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სიკუდილი და ხრწნილებაჲ დაჴსენ ღმრთისა დედაო, ჰშევ რაჲ წყაროჲ უხრწნელებისაჲ, ქრისტე, ყოვლად უბიწოო ღმრთისმშობელო, რომელმან განაშვენა კაცთა გონებაჲ შენ მიერ უკუდავებისა სიკეთითა.

გალობაჲ 3, განძლიერდასა

ძლისპირი: არა სიბრძნითა, არცა ძალითა, არცა სიმდიდრითა თავით თჳსით ვიქადით, არამედ შენგან, ღმრთისა სიბრძნეო, რამეთუ არავინ არს წმიდაჲ შენებრ, კაცთ-მოყვარე.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

აღმოსცენდი რაჲ გალილეას, სიყრმითგან ეძიებდი ჭეშმარიტებასა, და მოგიწოდა რაჲ ქრისტემან საღმრთოსა სარბიელსა ზედა, ნადირობაჲ თევზთაჲ დაუტევე და შეუდეგ ჴორცითა გამოჩინებულსა ღმერთსა.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

თანამოგზაურ იქმენ რაჲ ქრისტეს მიმოსლვისა, ერთგულებისათჳს შეგრაცხა ათთორმეტთა თანა მოციქულთა და წადიერ იყავ მისთანა სიკუდილისა, აწ ჩუენცა აღგვძარ მჴედრობად ღმრთისა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

მოვლეთ რაჲ იუდეა და გალილეაჲ, თჳთმხილველ იყავ არა ხოლო თუ ქუეყნიერთა საქმეთა და სასწაულთა ქრისტჱსთა, არამედ ვნებათა მისთა და ნებსით სიკუდილისა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უქორწინებელო სძალო, რომელმან შევ ღმერთი ჴორციელ-ქმნილი, ვნებათა კვეთებითა შერყეული ესე დამამტკიცე, რამეთუ სიმტკიცე ხარ და სასოჲ სოფლისაჲ.

გჯკსენ განსაცდელთაგან მონანი შენნი, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო ქალწულო, რამეთუ ჩუენ ყოველნი, შემდგომად ღმრთისა, შენდა მოჯვლტით, ვითარცა უძლეველისა ზღუდისა და შუამდგომელისა.

მოიხილე ჩუენზედა, ყოვლადქებულო ღმრთისმშობელო, და ჯორცთა ჩუენთა წყლულებანი ბოროტნი განჰკურნენ და სულისა ჩუენისა სნეულებანი.

მღდელი: შეგჯწყალენ ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გევედრებით, ისმინე და შეგჯწყალენ.

გუნდი: უფალო, შეგჯწყალენ (3-გზის).

მღდელი: მერმეცა გევედრებით ღმრთივდაცულისა ერისა ჩუენისა და მეუფებისა მისისათჯს (ქრისტჱსმოყუარისა მთავრობისა და მჯედრობისა მისისათჯს).

გუნდი: უფალო, შეგჯწყალენ (3-გზის).

მღდელი: მერმეცა გევედრებით უწმიდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტისა, დიდისა მეუფისა, მამისა ჩუენისა ილიასათჯს, და ყოვლადუსამღდელოესისა (აქა მოიხსენეთ ადგილობრივი მღდელთმთავარი), და ყოველთა ქრისტჱს მიერ ძმათა ჩუენთათჯს.

გუნდი: უფალო, შეგჯწყალენ (3-გზის).

მღდელი: მერმეცა ვევედრნეთ უფალსა ღმერთსა ჩუენსა, რაჲთა შეიწყალნეს... (აქა მოიხსენეთ სახელდებით ისინი, ვისთვისაც ევედრებით ღმერთსა).

გუნდი: უფალო, შეგჯწყალენ (3-გზის).

მღდელი: განამრავლე, უფალო, ჟამნი და წელნი ცხორებისა მათისანი და იკსნენ იგინი, უფალო, ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა, და ყოვლისაგან წყლულებისა სულისა და ჯორცთაჲსა და მიუტევენ მათ ყოველი შეცოდებანი მათნი, ნებსითნი და უნებლიეთნი.

გუნდი: უფალო, შეგჯწყალენ (3-გზის).

მღდელი: მერმეცა გევედრებით ყოველთა ძმათა და ყოველთა ქრისტეანეთათჯს.

გუნდი: უფალო, შეგჯწყალენ. (3-გზის).

მღდელი: რამეთუ მოწყალე და კაცთმოყუარე ღმერთი ხარ, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

წარდგომაჲ, ჯმაჲ 8

დაუტევე რაჲ ნადირობაჲ თევზთაჲ ზღვასა შინა, ბადითა სიტყუათა შენთაჲთა სიტყჯერნი თევზნი მოინადირენ და შესწირენ მსხუერპლად მაცხოვარსა და სურვილითა მისითა მობაძავ იქმენ ვნებათა მისთა, ამისთჯსცა შემოკრებულნი ესე ღირსად პატივს ვსცემთ, დიდებულო, ჯსენებასა შენსა, და ერთობით გიღაღადებთ: წმიდაო მოციქულო თომა, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რაჲთა განგვაძლიეროს წინა-აღმდგომთა მისთა მიმართ და დაგვიფაროს ყოველთა განსაცდელთა და სენთაგან.

გალობაჲ 4, უფალო მესმასა

ძლისპირი: იესუ, მჯდომარე დიდებით საყდართა ღმრთეებისათა, მოვიდა ღრუბლითა სულმცირითა, რომელ არს ქალწული გამოუცდელი ჯსნად ჩუენდა, მღაღადებელთა: დიდებაჲ ძალსა შენსა, მჯსნელო ჩუენ ყოველთაო.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

შემდგომად აღდგომისა ქრისტემან წყლულებაჲ გუერდისაჲ აჩუენა რაჲ მოწაფეთა თჳსთა და არწმუნა ჴელმწიფებაჲ თჳსი შესლვითა ბჭეთა ჴშულთაჲთა, მეყსეულად ჰბერა სული წმიდაჲ, და უბრძანათ ქადაგებაჲ სასუფეველისაჲ კიდეთა ქუეყანისათა.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

გახარეს რაჲ მოციქულთა, ყოვლადნეტარო: „ვიხილეთ ჩუენ უფალი, ადგომილი მკუდრეთით“, გულსა შინა თჳსსა ზრახავდი, თომა: „მე ხოლოჲ ვიპოვეა უსჯულოჲ და არაწმიდაჲ, არა ღირს ვიყავ რაჲ ხილვად მისა?“.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ვერა იხილე რაჲ მკუდრეთით აღმდგარი მაცხოვარი, შეძრწუნებული ტირილითა ეტყოდი სხუათა მათ მოწაფეთა უფლისათა: „ვიდრე არა ვიხილნე სახენი სამჭუალთა მისთანი, არასადა მრწმენეს უფალი, აღდგომილი მკუდრეთით“.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ქუეყანად დაუთესველად, ცხორების გამომღებელად, და ღრუბლად სულ-მცირედ მომფენელად ცუარსა მშვიდობისასა, ყოვლადწმიდასა ქალწულსა აღვიარებთ და ვღაღადებთ: ღმრთისა დედაო. დიდებაჲ ძესა შენსა.

გალობაჲ 5, ღამითგანსა

ძლისპირი: უღმერთოთა ვერ იხილონ დიდებაჲ შენი, ქრისტე, ხოლო ჩუენ, მონანი შენნი, ვიხილავთ დიდებასა შენსა, და ვღაღადებთ: ღამითგან აღვიმსთობთ ჩუენ მგალობლად შენდამი, კაცთ-მოყუარე.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

აღგისრულა რაჲ ვედრებაჲ ქრისტემან, კუალად გამოგიჩნდათ და მოგცათ რაჲ მშჯდობაჲ, წყლულებაჲ გუერდისაჲ და სახენი სამსჭუალთანი გაჩუენა შენ, წმიდაო, და გრქუა: „აჰა, იხილენ, და გრწმენინ“.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

უხრწნელი გვერდი მეუფისა ჴელითა გამოიძიე და იხილე რაჲ წყლულებაჲ სამსჭუალთაჲ და ლახურისაჲ, სიხარულითა ღაღატ-ყავ: „უფალი ჩემი და ღმერთი“, ხოლო იგი გეტყოდა: „ნეტარ იყვნენ, რომელთა არა უხილავ მე და ჰრწმენეს“.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ქრისტეს აღდგომასა ნათლით-შემოსილსა, დასაბამსა უხრწნელებისასა უგალობდით რაჲ მოციქულნი, ორმეოცთა დღეთა გეჩუენებოდათ და გეტყოდათ სასუფეველისათჳს ღმრთისა, და გამცნებდათ: „ნუ განეშორებით იერუსალიმსა“.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მძლედ გამოაჩინე შენ, ღმრთისმშობელო, გონებაჲ ჩემი, და დაუმორჩილენ ვნებულნი გულისსიტყუანი და ჴორცთა ბრძოლანი, რომელმან ჰშევ თავადი იგი საღმრთო უვნებლობაჲ.

გალობაჲ 6, ღაღადყავსა

ძლისპირი: გალობით, ჴმითა სიხარულისათა გაქებდა ეკლესიაჲ შენი, ქრისტე, განწმდა რაჲ იგი, სისხლითა მაგით, რომელიცა გარდამოხდა გვერდსა საღმრთოსა, წმიდასა.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

გაუწყათ რაჲ ახალკჯრიაკჷ აღდგომისა თჯსისაჲ ქრისტემან, მრავალნი სხუანიცა სასწაულნი ქმნნა, და განამტკიცნა გულნი თქუენნი განათლებად ყოველთა წარმართთა და ამაღლდა ზეცად.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჯს

ჭურეტდით რაჲ ქრისტეს დიდებულსა ამაღლებასა, სული წმიდაჲ მოგივლინათ სახედ ცეცხლისა და იწყეთ სიტყუად უცხოთა ენათა, რაჲთა ყოველთა მიუთხრობდეთ დიდებასა მისსა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

წილისყრასა მას მოციქულთასა წილად გხვდა რაჲ მოქცევაჲ ჰინდოთაჲ, არა გენება წარსლვაჲ მხარესა მას შორიელსა, გარნა გეჩვენა შენ ქრისტე და აღგითქუა შეწევნაჲ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უაღრეს და უზესთაეს არს ყოველთა სასწაულთა ქალწულისა მუცლადღებაჲ დამბადებელისა, და შემდგომადცა შობისა მის უბიწოებით დადგრომა ქალწულადვე.

გჯჴსენ განსაცდელთაგან მონანი შენნი, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო ქალწულო, რამეთუ ჩუენ ყოველნი, შემდგომად ღმრთისა, შენდა მოჯვლტით, ვითარცა უძლეველისა ზღუდისა და შუამდგომელისა.

მოიხილე ჩუენზედა, ყოვლადქებულო ღმრთისმშობელო, და ჴორცთა ჩუენთა წყლულებანი ბოროტნი განჰკურნენ და სულისა ჩუენისა სნეულებანი.

მღდელი: მერმე და მერმე მშჯდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

გუნდი: უფალო, შეგჯწყალენ.

მღდელი: შეგუეწიენ, გუაცხოვნენ, შეგჯწყალენ და დაგჯცვენ ჩუენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

გუნდი: უფალო, შეგჯწყალენ.

მღდელი: ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, და მარადის ქალწულისა მარიამისა, და ყოველთა წმიდათა მომჴსენებელთა, თავნი თჯსნი და ურთიერთარს, და ყოველი ცხორებაჲ ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შევვედროთ.

გუნდი: შენ, უფალო.

მღდელი: რამეთუ შენ ხარ მეუფჷ მშჯდობისაჲ, და მაცხოვარი სულთა ჩუენთაჲ, და შენდა დიდებასა აღუავლენთ მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

კონდაკი, ჴმაჲ 4

ვითარცა სიბრძნისა მადლითა აღვსებულმან, და ქრისტეს მოციქულმან, და მსახურმან საკჯრველმან, სინანულითა ღაღად-ჰყავ: „შენ ხარ ღმერთი ჩემი და უფალი ჩემი“.

იკოსი

ეჰა დიდებული ეგე საკჯრველი, უფლისა მოწაფეო, და დიდისა საიდუმლოჲსა მომღებო, თომა ღმრთისმეტყველო, რაჟამს პეტრე ღაღადყო რაჲ: ვიხილეთ უფალი, არქუ მას: „უკეთუ არა ვიხილო წყლულებაჲ ჴელთა მისთა არა მრწმენეს“, და მაშინ ჴმა-გიყო უფალმან მარჩბივსა და გრქუა: „მოჰყვენ ჴელნი შენნი და დასდევ გვერდსა ჩემსა, და ნუ იქნები ურწმუნო, რამეთუ მე ვარ უფალი და ღმერთი შენი“, და შენცა სინანულით ჴმა ჰყავ: „შენ ხარ ღმერთი ჩემი, და უფალი ჩემი“.

მღდელმან: მოხედენ, სიბრძნით.

წარდგომა სახარებისა, კმაჲ 4: ყოველსა ქუეყანასა განხდა კმაჲ მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი.

მუხლი: ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნულსა კელთა მისთასა მიუთხრობს სამყაროჲ.

მღდელმან: უფლისა მიმართ ვილოცოთ.

გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ.

მღდელმან: რამეთუ წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩუენო, და რომელი წმიდათა შორის განისუენებ, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა, და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე,

გუნდი: ამინ.

მღდელმან: ყოველი სული აქებდით უფალსა.

მუკლი: აქებდით ღმერთსა წმიდათა შორის მისთა, აქებდით მას სამყაროთა ძალისა მისისათა.

მღდელმან: ღირს-ყოფად ჩუენდა სმენად წმიდისა სახარებისა უფალსა ღმერთსა ჩუენსა ვევედრნეთ.

გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ. (3-გზის)

მღდელმან: სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ წმიდაჲ სახარებაჲ, მშჯდობაჲ ყოველთა.

გუნდი: და სულისაცა შენისა თანა.

მღდელმან: იოანესაგან წმიდისა სახარებისა საკითხავი.

გუნდი: დიდებაჲ შენდა, უფალო, დიდებაჲ შენდა.

მღდელმან: მოხედენ.

სახარებაჲ იოანესი (თ.20-19-31)

მას ჟამსა შინა, ვითარცა შემწუხრდა დღე იგი ერთშაბათისაჲ მის, და კარნი იგი დაკშულ იყვნეს, სადა-იგი იყვნეს მოწაფენი შეკრებულ შიშისათჳს ჰურიათაჲსა, მოვიდა იესუ და დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჯდობაჲ თქუენ თანა! და ვითარცა ესე თქუა, უჩუენა მათ კელნი თჳსნი და გუერდი მისი. და განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი. რქუა მათ იესუ კუალად: მშჯდობაჲ თქუენ თანა! ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ. და ვითარცა ესე თქუა შეჰბერა მათ და რჰქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ. ხოლო თომა, ერთი იგი ათორმეტთაგანნი, რომელსა ერქუა მარჩბივ, არა იყო მათ თანა, ოდეს-იგი მოვიდა იესუ. უთხრობდეს მას სხუანი იგი მოწაფენი, ვითარმედ: ვიხილეთ ჩვენ უფალი. ხოლო მან ჰრქუა მათ: უკუეთუ არა ვიხილო კელთა მისთა სახე იგი სამსჭუალთაჲ და დავსხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამსჭუალთასა და დავსდვა კელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს. და შემდგომად რვისა დღისა კუალად იყვნეს მოწაფენი მისნი შინაგან, და თომაცა მათ თანა. და შევიდა იესუ კართა კშულთა და დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჯდობაჲ თქუენ თანა! მერმე ჰრქუა თომას: მოყვენ თითნი შენნი და იხილენ კელნი ჩემნი და მოიღე კელი შენი და დამდევ გუერდსა ჩემსა და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ. მიუგო თომა და ჰრქუა: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი! ჰრქუა მას იესუ: რამეთუ მიხილე და გრწამს; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე. მრავალნი სხუანიცა სასწაულნი ქმნნა იესუ წინაშე მოწაფეთა თჳსთა, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას. ხოლო ესე დაიწერა, რაჲთა გრწმენეს, რამეთუ იესუ არს ქრისტე, ძჱ ღმრთისაჲ, და რაჲთა გრწმენეს და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა.

გუნდი: დიდებაჲ შენდა, უფალო, დიდებაჲ შენდა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

მეოხებითა წმიდისა თომა მოციქულისაჲთა, მოწყალეო, აღჰოცენ ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, მოწყალეო, აღჰოცენ ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი.

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღჰოცენ უშჯულოებაჲ ჩემი და შემიწყალე მე, ღმერთო.

გერი: ყოვლად ნეტარო ქრისტეს მოციქულო თომა, მის მიერ გამორჩეულო სამწყსოსათჳს თჳსისა და მქადაგებელო ჭეშმარიტებისაო, აწ ჩუენცა გვითხოვე მისგან მშჳდობაჲ სოფლისაჲ, შეუძრველად დაცვაჲ ეკლესიისა და ერისა ჩუენისაჲ, და სულთა ჩუენთათჳს დიდი წყალობაჲ.

მღდელი: აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი, და აკურთხე სამკჳდრებელი შენი, მოხედენ სოფელსა შენსა წყალობითა და მოწყალებითა, აღამაღლე რქაჲ ქრისტეანეთა მართლმადიდებელთაჲ, და გარდამოავლინენ ჩუენ ზედა მდიდარნი წყალობანი შენნი, მეოხებითა ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, და მარადის ქალწულისა მარიამისაჲთა; ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲთა; მეოხებითა პატიოსანთა უკორცოთა ზეცისა ძალთაჲთა; პატიოსნისა, დიდებულისა, წინაჲსწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანწსითა; წმიდისა დიდისა წინაჲსწარმეტყუელისა ელია თეზბიტელისა და მართლისა ენუქისითა; წმიდათა დიდებულთა, და ყოვლად-ქებულთა მოციქულთა თავთა, პეტრწსა და პავლწსითა, და საქართველოს განმანათლებელთა მოციქულთა: ანდრია პირველწოდებულისა, სვიმონ კანანელისა, ბართლომესი, თადეოზისა და მატათაჲსითა; წმიდათა შორის მამათა ჩუენთა, და მსოფლიოთა დიდთა მოძღუართა და მღდელთმთავართა: ბასილი დიდისა, გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა, და იოვანე ოქროპირისაჲთა; წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ნიკოლოზ მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსისა და საკჳრველთმოქმედისაჲთა; წმიდისა ძლევა-შემოსილისა მოწამისა გიორგისა და წმიდათა დიდთა ქალწულ-მოწამეთა ბარბარწსა და მარინწსითა; ღირსისა დედისა ჩუენისა, მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და წმიდისა პატრიარქისა ევსტათი ანტიოქიელისა - ქართლის ეკლესიათა მაკურთხეველისაჲთა; წმიდათა მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანაჲსითა; წმიდათა მამამთავართა ჩუენთა: პეტრე, სამუელ, სარმიან, მამაჲ, არსენ, მელქისედეკ, იოანე-ოქროპირ, ნიკოლოზ, ევდიმოზ, იოსებ, კირიონ, ამბროსისაჲთა; ღირსისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთაჲთა; ღმრთივ-განბრძნობილთა ნეტართა მამათა ჩუენთა: ილარიონ ქართველისა, სერაპიონ ზარზმელისა, გრიგოლ ხანძთელისა და საბა იშხნელისაჲთა; ღირსთა მამათა ჩუენთა ათონელთა: იოვანე და გაბრიელ ქართველთა, იოვანე თორნიკ-ყოფილისა და ეფთჳმე და გიორგი მთაწმინდელთაჲთა; წმიდათა დიდებულთა და ღუაწლისა-მძლეთა მოწამეთა ჩუენთა: რაჟდენისა, ევსტათი მცხეთელისა, ჰაბო ტფილელისა, გობრონისა, თევდორე მღდლისა, ქრისტეფორე გურულისა, ნიკოლოზ დვალისა, კოზმანისა, არგვეთისა მთავართა დავით და კონსტანტინწსა და კონსტანტინე მთავრისაჲთა; წმიდისა მთავარ-მოწამისა ბიძინასა და წმიდათა დიდებულთა მოწამეთა: შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავთაჲთა; წმიდისა მოწამისა შალვა ახალციხელისა და წმიდათა ათთა-ბევრთა მოწამეთა, ტფილისს ხუარაზმელთაგან მოწყუედილთაჲთა; წმიდათა მოწამეთა ექვსი ათასთა გარეჯელთა ბერთა, და მრავალთა წმიდათა მამათა და დედათა, ქვაბთახევსა და აჭარასა შინა უსჯულოთაგან წამებულთაჲთა; წმიდათა ღუაწლისამძლეთა მეფეთა და დედოფალთა: მირდატ, აშოტ, არჩილ, დემეტრე, ლუარსაბ, შუშანიკ და ქეთევანისაჲთა; წმიდათა კეთილ-მორწმუნეთა და დიდთა მეფეთა ჩუენთა: ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებელისა, დემეტრე-დამიანწსა, თამარისა და სოლომონისაჲთა; წმიდისა ილია მართლისა და ექვთიმე ღმრთისკაცისაჲთა; წმიდათა აღმსარებელთა მამათა ჩუენთა - იოვანე და გიორგი-იოანე ბეთანიელთა, და ექვთიმე და გაბრიელ სალოსისაჲთა; წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისაჲთა იოაკიმ და ანნაჲსითა (და წმიდისა სახელი, რომლისა არს ტაძარი და დღის წმიდანი მოიხსენიოს); და წმიდისა თომა მოციქულისა და ყოველთა წმიდათა შენთაჲთა გევედრებით შენ, მრავალ-მოწყალეო ღმერთო, შეისმინე ჩუენ ცოდვილთა ვედრებაჲ, და შეგჳწყალენ ჩუენ.

გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ (12-გზის).

მღდელი: წყალობითა და მოწყალებითა და კაცთმოყუარებითა მხოლოდშობილისა ძისა შენისაჲთა, რომლისა თანა კურთხეულ ხარ, თანა ყოვლადწმიდით, სახიერით, და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

გალობაჲ 7, კურთხეულარსა

ძლისპირი: საკუმილსა შინა, აბრაამიანნი ყრმანი მოგუთა მიერ კრულნი საღმრთოთა სჯულთათჳს შეითხივნეს და ალსა შინა ღაღადებდეს: კურთხეულ ხარ, ღმერთო, ტაძარსა ამას სიწმიდისა შენისასა.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

საღმრთოჲთა განგებულებითა შთასრული ჰინდოეთსა, ვითარცა ხუროთმოძღუარი მეფისა მათისაჲ, ნაცვლად პალატთა შენებისა, ოქროსა მისსა მისცემდი გლახაკთა და ქადაგებდი ქრისტესა. მას ევედრე, აწ ჩუენცა გჳკსნნეს სულთა და კორცთა ვნებათაგან.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

წარგადგინეს რაჲ წინაშე მეფისა, აუწყებდი სასახლისა აღშენებასა ცათა შინა, და განრისხებულმან შთაგაგდო რაჲ დილეგსა, დაშვებითა ღმრთისაჲთა მოკუდა ძმაჲ მისი, და აჩუენეს მას პალატნი მეფისაჲ სასუფეველსა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ჶ, შეწევნაჲ ღმრთისაჲ სათნომყოფელთა მისთა, რამეთუ კაცისა მის სული უკუნ-აქციეს რაჲ კორცსა, ყოველსავე აუწყებდა ძმასა, და აღიარეს რაჲ ქრისტე, ნათელს სცემდი მათ ერთა თანა, წმიდაო, და ასწავებდი ქრისტეანულსა ცხორებასა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სჯულისა მისგან მონებისა გჳკსნა შობამან შენმან, ღმრთისმშობელო, რამეთუ შენ ქალწულწებითა შევ განმათავისუფლებელი, კურთხეულ ხარ დედათა შორის, სძალო, ყოვლადწმიდაო.

გალობაჲ 8, აკურთხევდითსა

ძლისპირი: ყრმანი ბრწყინვალენი საკუმილისაგან პირველად იკსნნა შობამან ქალწულისაგან, რომლითა მოასწავა კსნაჲ ჩუენი საცთურისაგან, და ნათლითა შემოსილნი მათ თანა ვიტყოდეთ: უფალსა უგალობდით ყოველნი და უფროჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

ვითარცა ურწმუნო ქმნულსა გარწმუნა ქრისტემან აღდგომაჲ თჳსი, ეგრეთვე მიზეზითა შენითა განცხადებულ ყო ზეცად მიცვალებაჲ წმიდისა დედისა მისისაჲ, და აჰა, აწ ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ წინაშე მისა, გვითხოვე აღორძინებაჲ ყოვლითავე სულიერითა და კორციელითა კეთილითა.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

გახვედ რაჲ ქადაგებად პალესტინესა და შუამდინარეთსა, ურწმუნოებისა ბნელსა შინა დანთქმულთა განუცხადებდი ქრისტჱს ღმრთისა მჴსნელსა ნათელსა, აწ ჩუენთჳსცა ევედრე მას, ნეტარო, რაჲთა განგვწმიდოს ცოდვათაგან და აღგვჭუროს მღვიძარებითა საღმრთოჲთა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

კუალად წარემართე რაჲ ჰინდოეთსა, ახარე სასუფეველი ღმრთისაჲ ქუეყანასა მას დამკჳდრებულთა პართთა, მიდიელთა და გირკანელთა, და ქრისტეს მიმართ მოაქცევდი რაჲ ბაქტრიელთა და ბრაჰმანთა, წარმართობითა დაბნელებული გონებაჲ ჰინდოთაჲ განაბრწყინვენ მადლითა სულისა წმიდისაჲთა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჰშევ შენ წმიდაჲ ყოვლისაგან ბიწისა, იქმენ სამკჳდრებელ ყოვლისა სიწმიდისა და სიტყუაჲ ყოველთა წმიდა მყოფელი, მამისა თანა დაუსაბამოჲ უშევ კაცთა, ამისთჳს გიგალობთ შენ, ქალწულო, და უფროჲსად აღგამაღლებთ უკუნისამდე.

გალობაჲ 9, ადიდებდითსა

ძლისპირი: ლოდი საკიდური უკელოდ გამოეკვეთა შენგან, მთაო, გამოუკვეთელი, ქალწულო, ქრისტე შემაერთებელი ბუნებათა, ამისთჳს სიხარულით ჩუენ მორწმუნენი ღირსად გადიდებთ.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

იქადაგე რაჲ კალამინსა, ქრისტეს მიმართ მოაქციე სახლეულნი მეფისაჲ, და განრისხებულმან გტანჯა რაჲ განკურებულითა რვალითა, მერმე შთაგაგდო აღგზებულსა მას საკუმილსა, და ძალითა ღმრთისაჲთა დაშთი უვნებელად.

წმიდაო თომა მოციქულო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს

უბრძანა რაჲ მეფემან მოკლვაჲ შენი, ითხოვე ჟამი ლოცვისაჲ, და კელი დაასხი რაჲ ხუცად სიფორსა და მეფისწულსა აზანსა დიაკონად, ანდერძად დაუდე განმრავლებაჲ მორწმუნეთაჲ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

სული შენი შეჰვედრე რაჲ ქრისტესა, განგგმირეს მტარვალთა ხუთითა ლახუარითა, და გუამი შენი დაკრძალეს რაჲ მოწაფეთა შენთა პატივითა, ქრისტემან დაგამკჳდრა სასუფეველსა თჳსსა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ნაყოფი წმიდაჲ აღმოსცენდი ქალწულებისა ქუეყანასა, რომლითა ვიზრდებით მორწმუნენი, რომლისა მიერ ვჰგიეთ და ვსცხოვნდებით, ქრისტე, და მშობელსა შენსა, ვითარცა ღმრთისმშობელსა ვადიდებთ.

ღირს არს ჭეშმარიტად, რაჲთა გადიდებდეთ, შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა, უპატიოსნესსა ქერობინთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისაჲსა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებთ.

მღდელი აკმევს:

მკითხველი ან ერისკაცი კითხულობს:

აწ ჩუენცა ვაქებთ ნიშ-სასწაულთა და კურნებათა, რომელნი აღასრულნა ღმერთმან წმიდათა ნაწილთა მიერ შენთა სამარხოსა შენსა, და ეკლესიამან შეგრაცხა რაჲ წმიდათა შორის მისთა, მას ზედა აღაშენეს შუენიერი ტაძარი, და გევედრებოდენ კსნასა ყოველთა ჭირთა და ვნებათაგან, გარნა უფლისა დაშვებითა წმიდანი ნაწილნი შენნი წარიხუნეს შუანდინარეთსა, და მცირჱ სიწმიდჱ დარჩა ჰინდოეთსა, რომლისა მიერ მწე-ექმნებოდი მისდა შევრდომილთა, და ვიდრე აქამომდე ქუეყანაჲ იგი, წოდებულ არს ქუეყანად „წმიდისა თომაჲსა“;

წმიდანი ნაწილნი შენნი კონსტანტინეპოლესა წარიხუნეს რაჲ განგებულებითა საღმრთოჲთა, აღაშენებდენ მას ზედა ტაძარსა დიდებულსა და შემდგომად სამეუფოჲსა მის ქალაქის დაცემისა, დაიუნჯეს ნაწილნი შენნი, ჭ, წმიდაო თომა მოციქულო, ვითარცა იტალიამან და საბერძნეთმან, ეგრეთცა ათონმან, ივერიამან და უნგრეთმან, ხოლო უკუეთუ ვინმე ლოცვითა მივეახლოთ სიწმიდეთა მათ შენთა, გჳკსნი ყოველთა განსაცდელთა და ჭირთაგან.

მადლი შეწევნისაჲ მინიჭებულ აქუს რაჲ ქრისტჱსგან წმიდათა მათ ნაწილთა შენთა, წმიდაო, იშუებს აწ დიდებული სიონი დაუნჯებითა წმიდისა თავისა შენისაჲთა, და აქუს რაჲ სასოდ და შესავედრებელად დედა-ქალაქსა ჩუენსა და ერსა, დღესასწაულსა მას კსენებისა შენისასა ჩუენცა

მოჯსწრაფით სიონად, რაჲთა სიწმიდჱ ეგე შენი მჯურვალედ შევიტკბოთ და მოვიღოთ კურნებაჲ სულთა და ჯორცთა ჩუენთაჲ.

იქადის მხარჱ იმერთაჲ და იხარებს გელათი მწიაღებელი წმიდათა ნაწილთა შენთა და მიჰმადლებს რაჲ უხვსა საბოძვარსა ულევისა მადლისასა ყოველთა მისდა მილტოლვილთა, აჰა, აწ ჩუენცა სიხარულითა ვისწრაფვით მიმთხვევად მისდა და გევედრებით: ყოველთა სენთა და ურვათაგან განგვარინე კადნიერითა შუამდგომელობითა შენითა, რომელ გაქუს ვითარცა მოციქულსა ქრისტჱს ღმრთისასა.

გაქუს რაჲ გამოუთქმელი სიმდიდრჱ წყალობისაჲ, ყოვლადწმიდაო დედაო ღმრთისა ჩუენისაო, შენდა მოვივლტით და გევედრებით, ვითარცა ურცხვენელსა მეოხსა წინაშე ღმრთისა, მოგჯტევოს ყოველნი შეცოდებანი ჩუენნი და დაგვიცვას მანქანებათაგან ეშმაკისა, რაჲთა ღმრთისმოსავობითა ვსცხონდებოდეთ და სამწმიდაარსობისა გალობითა ვაქებდეთ ღმერთსა, წმიდათა შორის საკჯველსა:

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგჯწყალენ ჩუენ (3-გზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგჯწყალენ ჩუენ; უფალო, გჯკსენ და გჯლხინე ცოდვათა ჩუენთაგან; მეუფეო, შეგჯნდვენ უსჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩუენნი სახელისა შენისათჯს.

უფალო, შეგჯწყალენ (3-გზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს, და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა და ნუ შემიყუანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჯსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

მღდელი: რამეთუ შენი არს სუფევაჲ...

მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ ყოვლისავე სიტყჯს მიცემისაგან უღონო ვართ, გარნა ამას ვედრებასა შენ, მეუფისა სახიერისა, ცოდვილნი ესე შევსწირავთ. მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა

უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ შენ გესავთ, ნუ განმირისხდები ჩუენ ფრიად, და ნუცა მოიჯსენებ უსჯულოებათა ჩუენთა, არამედ მოიხილე ჩუენზედა წყალობით, ვითარცა სახიერ ხარ, და გჯკსენ ჩუენ სამართლად რისხვისაგან შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი, და ჩუენ ვართ ერნი შენნი, ყოველნივე ქმნულნი ჯელთა შენთანი ვართ და სახელი შენი წოდებულ არს ჩუენ ზედა და შემიწყალენ ჩუენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოწყალებისა კარი განგჯღე, კურთხეულო ღმრთისმშობელო, რაჲთა, რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხორებაჲ ნათესავისა ქრისტეანეთასა.

მღდელი: შეგჯწყალენ ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გევედრებით, ისმინე და შეგჯწყალენ.

გუნდი: უფალო, შეგჯწყალენ (3-გზის).

მღდელი: მერმეცა გევედრებით, წყალობისა, სიცოცხლისა, მშჯდობისა, სიმრთელისა, დღეგრძელობისა, ცხორებისა, განათლებისა, მოტევებისა, კეთილად წარმართებისა და მყუდროებისა მონათა (ანუ მკევალთა) ღმრთისაჲთა და ყოველთა შჯლთა ჩუენისა ეკლესიისაჲთა, რაჲთა დაიცვას უფალმან ღმერთმან ჩუენმან სამეუფოჲ ქალაქი ესე ჩუენი და წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ და ყოველნი ქალაქნი და სოფელნი ივერიისა სიყმილისაგან, სრვისა, ძრვისა, დანთქმისაგან, ცეცხლისა და მახჯლისა, უცხოთესლთა ზედა მოსლჯსაგან, ბრძოლისა და სიკუდიდშემოსილისა წყლულებისა, რაჲთა მოწყალე გუექმნეს ჩუენ ღმერთი კეთილად დგომისათჯს სახიერებითა და კაცთმოყუარებითა თჯსითა, და გარეწარაქციოს რისხვაჲ, მარად დღე ჩუენ ზედა მომავალი, და გჯჴსნეს ჩუენ სამართლად ჩუენ ზედა მოწევნულისა რისხვისაგან, და შეგჯწყალნეს ჩუენ.

გუნდი: უფალო, შეგჯწყალენ (12-გზის).

მღდელი: შეისმინე ჩუენი, ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო, სასოო ყოველთა კიდეთა ქუეყანისათაო, და რომელნი არიან ზღუათა შინა შორს, და მლხინებელ, და მოწყალე ექმენ შეცოდებათა ჩუენთა, და შეგჯწყალენ ჩუენ, რამეთუ მოწყალე და კაცთმოყუარე ღმერთი ხარ და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

სავედრებელი ლოცვა

ჵ, დიდებით შუენიერო, მოციქულო და მოწამეო ქრისტჱს ღმრთისაო, მახარებელო მშვიდობისაო და ქადაგო ყოვლად-წმიდისა სამებისაო; წყაროო მოწყალებისაო და შესავედრებელო ყოვლისა სოფლისაო, უხილავო ზედამდგომელო სიწმიდისაო, და ურწმუნოთათჯს მომმადლებელო სარწმუნოებისაო; ჭეშმარიტო წინამძღუარო ცხორებისა ჩუენისაო და უძლეველო ზესთამბრძოლო ყოვლისა საქრისტეანოჲსაო!

ჵ, ღუაწლით-შემოსილო წმიდაო მოციქულო თომა, ვერა იხილე რაჲ მკუდრეთით აღმდგარი მაცხოვარი ზეგარდამოჲთა დაშვებითა, ურწმუნო ქმნულსა გარწმუნა განშიშულებითა წმიდისა გუერდისაჲთა, და სხუათა მათ მოციქულთა თანა წარგავლინა რაჲ ქადაგებად სასუფეველისა, მოვლე ყოველი სოფელი, და ნათელი მისი განფინე რაჲ ჰინდოეთსა, სიბნელჱ მკჯდრთა მისთა განაბრწყინვე, დიდებულო, და ძედ ნათლისა და დღისა გამოაჩინენ სულითა, აწ ჩუენცა გევედრებით მეოხებასა წინაშე ღმრთისა, განაქარვოს რისხვაჲ აღდგომილი ჩუენ ზედა, სიმრავლისაგან ცოდვათა ჩუენთასა, და აღაგზოს გულსა შინა ჩუენსა საღმრთოჲ ცეცხლი მოშურნეობისაჲ, რაჲთა ერთობითა ვჰბრძოდეთ ყოველთა წინააღმდგომთა მისთა, და ვიყოთ ერთ სამწყსოჲ და უფალი იყოს მწყემს ჩუენდა. მრავალშემძლებელითა ძალითა შენითა დაიფარე და განაძლიერე მსახურებასა შინა დიდი მეუფჱ ჩუენი, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, მამაჲ ჩუენი ილია, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზვნო წესნი, ზიარნი მართლმადიდებელისა ეკლესიისანი და ყოველნი მართლმორწმუნენი ქრისტეანენი.

ჵ, ყოველთა ქრისტეანეთა საქებელო, და შესავედრებელო ჩუენო, წმიდაო თომა მარჩბივო, გამოგირჩია რაჲ კაცთა ცხოვნებად მოსრულმან ღმერთმან მოწაფედ თჯსად და მოციქულად, მოგცა ჴელმწიფებაჲ სნეულთა კურნებისაჲ, კეთროვანთა განწმედისაჲ, მკუდართა აღდგინებისაჲ და ეშმაკთა განდევნისაჲ, და აჰა, აწ წინაშე საყდარსა მისსა მდგომარემან შეიწირე ვედრებანი ჩუენნი და შეგვაწყნარე სახიერებასა მისსა, რაჲთა დაგვიფაროს სიყმილისაგან, სრვისა, ძრვისა, რღუნისა, ცეცხლისა, მახჯლისა, ჴდომათაგან მტერთაჲსა, ძმათამკულელთა ბრძოლათაგან, მძლავრებისაგან ანტიქრისტჱსა და საცთურთაგან მისთა, რაჲთა განვერნეთ ყოველთა საბრჴეთა სოფლისათა და წარუვალსა შუებასა მიმთხუეულნი დაუცხრომელად უგალობდეთ ყოვლადწმიდასა სამებასა, მამასა, ძესა და სულსა წმიდასა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მღდელი: სიბრძნით!

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, გუაცხოვნენ ჩუენ.

გუნდი: უპატიოსნესსა ქერობინთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებთ.

მღდელი: დიდებაჲ შენდა, ქრისტე ღმერთო, სასოებაო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

გუნდი: დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო, შეგჳწყალენ (3-გზის). გუაკურთხენ.

მღდელი: ჩამოილოცავს...

გუნდი: ამინ.

ერისკაცმან: დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო შეგჳწყალენ (3-გზის).

უფალო, იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისაჲთა, წმიდისა მოციქულისა თომაჲსა და ყოველთა წმიდათაჲთა, შეგჳწყალენ ჩუენ, ამინ.

ლოცუაი მთხვევნასა ზედა ხატისასა:

იესუ ქრისტესა შეუდეგ შენ წადიერებით, ყოვლად ქებულო თომა, და საღმრთოჲთა ბრძანებითა მიივლინე რაჲ შორიელთა მათ ქუეყანათა, ახარე სასუფეველი, ჯუარცუმაჲ ქადაგე და აღდგომაჲ მაცხოვრისაჲ, და აწ ვითარცა მოციქულსა და მოწამესა მისსა გაქუს კადნიერებაჲ, რაჲთა წყალობაჲ მოგუმადლოს მოშიშებითა შევრდომილთა ხატსა შენსა და დაგვიცვას მანქანებათაგან ეშმაკთაჲსა და ბოროტებისაგან კაცთაჲსა.

გაქუს რაჲ გამოუთქმელი სიმდიდრჱ წყალობისაჲ, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, შენდა მოვივლტით და გევედრებით, ვითარცა ურცხვენელსა მეოხსა წინაშე ქრისტჱს ღმრთისა მიმართ ჩუენისა, მოგჳტევოს ყოველნი შეცოდებანი ჩუენნი და დაგვიცვას ყოვლისაგან საცთურისა და ვნებისა, რაჲთა შენითა შუამდგომელობითა ღირს-ვიქმნეთ ხილვად და დამკჳდრებად სასუფეველისა.

დაუჯდომელი საგალობელი

წმიდისა მოციქულისა

თომა მარჩბივისა

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგჳწყალენ ჩუენ, ამინ.

დიდებაჲ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკჳდრე ჩუენ შორის და წმიდა-მყვენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგჳწყალენ ჩუენ (3-გზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგჳწყალენ ჩუენ; უფალო, გჳკსენ და გჳლხინე ცოდვათა ჩუენთაგან; მეუფეო, შეგჳნდვენ უსჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩუენნი სახელისა შენისათჳს.

უფალო, შეგჯწყალენ (3-გზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს, და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა და ნუ შემიყუანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

უფალო, შეგჯწყალენ (12-გზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თჳთ ქრისტესა მეუფესა და ღმერთსა ჩუენსა.

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღჴოცე უსჯულოებაჲ ჩემი. უფროჲს განმბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე, რამეთუ უსჯულოებაჲ ჩემი მე უწყი, და ცოდვაჲ ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ, რაჲთა განმართლდე სიტყუათაგან შენთა და სძლო სჯასა შენსა, რამეთუ ესერა, უსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან. რამეთუ ესერა, ჭეშმარიტებაჲ შეიყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე. მასხურო მე უსუპითა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და უფროჲს თოვლისა განვსპეტაკნე. მასმინო მე გალობაჲ და სიხარული და იხარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი. გარე მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი აღჴოცენ. გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაჲ და სულითა მთავრობისაჲთა დამამტკიცე მე. ვასწავლნე უსჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენდა მოიქცენ. მიჴსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხორებისა ჩემისაო; იხარებდეს ენაჲ ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუენ, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა. რამეთუ უკეთუმცა გენება, მსხუერპლი შე-მცა-მეწირა, არამედ საკუერთხი არა გთნდეს. მსხუერპლი ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ჰყოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღეშენნენ ზღუდენი იერუსალიმისანი. მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაჲ, შესაწირავი და ყოვლად-დასაწუელი, მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.

კონდაკი 1

სიყუარულითა გაქებთ შენ, მარჩბივად წოდებულსა ქრისტეს მოციქულსა, და გევედრებით სასოებითა შუამდგომლობისა შენისაჲთა, აღგვავსე სულითა სიბრძნისაჲთა და გულნი ჩუენნი დაამტკიცე სარწმუნოებასა ზედა ჭეშმარიტსა, რაჲთა კეთილად ვმსახურებდეთ წმიდასა ეკლესიასა და ერსა, და არცაღა დავსცხრეთ გალობად შენდა: გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

იკოსი 1

ანგელოსთაგან დაფარულისა საიდუმლოჲსა მეცნიერ-იქმენ, მოციქულო, განიხილე რაჲ მარჯუენითა წყლულებაჲ ქრისტჱს ღმრთისაჲ, რომელმან ჴორცნი შეისხნა და განკაცნა ჴსნისათჳს კაცთაჲსა, და მის მიერ განათლებული უშიშად ქადაგებდი რაჲ სახელსა მისსა ქუეყანათა მათ უცხოთა, მოიმოწაფებდი და ნათელსცემდი მრავალთა ერთა სახელითა წმიდისა სამებისაჲთა, ხოლო იგინი სიხარულითა გნატრიდენ და გაქებდენ შენ, ვითარცა განმანათლებელსა და მეოხსა მათსა:

გიხაროდენ, ქრისტეს მიერ საღმრთოსა სარბიელსა ზედა მოწოდებულო და მოწაფედ აღრჩეულო;

გიხაროდენ, მის მიერ უცნობელობიდან საღმრთო სიბრძნედ მიყვანებულო;

გიხაროდენ, მეკერპეთა ცრუ სჯულისა ძლევით მამხილებელო;

გიხაროდენ, ზეციერისა მამულისა გზისა მაჩვენებელო;

გიხაროდენ, ქრისტეს ვერცაღა მხილველთა რწმენად მისა მიმყვანებელო;

გიხაროდენ, საღმრთოჲსა სრბისა კეთილად აღმასრულებელო;

გიხაროდენ, სისხლითა წამებისაჲთა ბრწყინვალედ განშუენებულო;

გიხაროდენ, უმეტეს მეფეთა და ჩინებულთა ამის სოფლისათა უფლისა მიერ საუკუნოდ განდიდებულო;

გიხაროდენ, ორთავ ეკლესიასა შინა - ქუეყნიერსა და ზეციერსა განბრწყინვებულო;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 2

სიყრმითგან ეძიებდი რაჲ ჭეშმარიტებასა, ოდეს მოვიდა იესუ გალილეად, თევზთა ნადირობაჲ ზღვასა შინა დაუტევე, და მჯურვალედ შეუდეგ ჯორცითა გამოჩინებულსა ღმერთსა, და ერთგულებისათჳს შენისა შეგრაცხა რაჲ ათთორმეტთა მათ რჩეულთა მოციქულთა თანა, ჭურეტდი მის მიერ განკურნებულთა და აღდგენილთა, და თჳთცა მისითა მადლითა აღვსებული აქებდი ღმერთსა წადიერებითა: ალილუია.

იკოსი 2

იქმენ რაჲ მოწაფჱ მაცხოვრისაჲ, თჳთმხილველ იყავ არა ხოლო თუ ქუეყნიერთა საქმეთა მისთა და სასწაულთა, არამედ ვნებათა მისთა და ნებსით სიკუდილისა, და იყავ დიდსა მას მწუხარებასა შინა, ხოლო წარმოტყუენა რაჲ ჯოჯოხეთი და აღდგა მკუდრეთით მესამესა დღესა, მეყსეულად ეჩუენა მენელსაცხებლეთა დედათა, და თქუენდა წარმოგზავნა, რაჲთა აღდგომაჲ მისი გახარონ მოწაფეთა მისთა, აწ ჩუენცა დანთქმულნი ცოდვათაგან შეგვავედრე ღმერთსა, რაჲთა აღვივსნეთ სიბრძნითა საღმრთოჲთა და ბაგენი ჩუენნი აღვძრათ გალობად შენდა:

გიხაროდენ, ნერგო სიმართლისაო, გალილეასა აღმოცენებულო;

გიხაროდენ, წინაჲსწარმეტყუელთაგან მოლოდებულისა მაცხოვრისა მხილველო და ბადითა მისითა მონადირებულო;

გიხაროდენ, ღმრთეებრივთა ბაგეთა მისთაგან მოძღურებისა მადლისა მომღებელო;

გიხაროდენ, ყოველთა სიტყუათა მისთა მტკიცედ დამმარხველო;

გიხაროდენ, ქრისტეს მიმოსლვისა თანამოგზაურო და მისთანა პურისა განმტეხელო;

გიხაროდენ, ერთისა ლეღჳსა ქუეშე მის თანა შეფარებულო;

გიხაროდენ, ოთხისა დღისა მომკუდარისა ლაზარეს თანა სერისა მჯუმეველო;

გიხაროდენ, „ოსანა მაღალთა შინა ღმერთსა“ - ჯმამაღლად მგალობელო;

გიხაროდენ, ქრისტჱსთანა სიკუდილისათჳს განმზადებულო;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 3

ოდეს გამოუჩნდა უფალი შიშითა ჰურიათაჲსა დამალულთა მოწაფეთა, შევიდა რაჲ ბჭეთა მათ ჯშულთა, მისცა მშვიდობაჲ ფრიად მგლოვარეთა, და უჩუენა რაჲ ჴელნი და გუერდიცა თჳსი, მეყსეულად ჰბერა სული წმიდაჲ, და რქუა: „ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ, რაჲთა ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა იქადაგოთ სახარებაჲ სასუფეველისაჲ, და უკუეთუ მიუტევნეთ შეცოდებანი, მიეტევნეს ყოველთა“ და აღძრა ქებად და დიდებად მისა: ალილუია.

იკოსი 3

ვერა იხილე რაჲ მკუდრეთით აღმდგარი მაცხოვარი ზეგარდამოჲთა განგებულებითა, ზრახვიდი გულსა შინა: „მე ხოლოჲ ვიპოვეა არაწმიდაჲ, არა ღირს ვიყავ რაჲ ხილვად მისა?“, და შეძრწუნებული ეტყოდი მოციქულთა: „არასადა მრწმენეს, ვიდრემდე არა შევახო ჴელი ჩემი წყლულებასა მისსა და დავსდვა თითი ჩემი ადგილსა სამსჭუალთასა“, გარნა ურწმუნოებაჲ შენი არა განკიცხულ იყო, რამეთუ საფუძველ იქმნა სარწმუნოებისა, რაჲთა გვრწმენეს ჩუენ ყოველთა აღდგომილი ქრისტე, და გაქებდეთ სიყუარულითა და მადლიერებითა:

გიხაროდენ, მწყურნებო ჴსნისაო და ზიარო ქრისტეს მადლისაო;

გიხაროდენ, ყუავილო ღმრთისმოსავობისაო;

გიხაროდენ, ფესვო ღმრთისმეტყუელებისაო;

გიხაროდენ, შემყუარებელო სიმართლისა მზისაო;

გიხაროდენ, მსახურო განხორციელებულისა ღმრთისაო;

გიხაროდენ, თანამეინახეო მისისა უკუდავისა ტრაპეზისაო;

გიხაროდენ, ჭურო კეთილისა ზნეობისა და გონიერებისაო;

გიხაროდენ, ღირს ქმნილო ქრისტეს თანა-მზრახველობისაო;

გიხაროდენ, ღმრთივგანბრძნობილო ქადაგო ახლისა სჯულისაო;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 4

აღგისრულა რაჲ გულითადი წადილი ქრისტემან, კუალად გამოგიჩნდათ ერთად შეკრებულთა მოწაფეთა, და ვითარცა შეპყრობილსა ურწმუნოებითა, წყლულებაჲ გუერდისაჲ და სახენი სამსჭუალთანი გაჩუენა და გრქუა მარჩბივსა: „მოიღე ჴელი შენი და დამდევ გუერდსა ჩემსა“, და შე-რაჲ-ეხე წყლულებასა მისსა, სინანულითა ჴმა ჰყავ: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“, და მისცემდი მადლსა და დიდებასა: ალილუია.

იკოსი 4

ურწმუნოებამან შვა და დაამტკიცა რაჲ სარწმუნოებაჲ, ღაღადყავ სიხარულითა დიდითა: „ჭეშმარიტად იგი არს, რომელი ჯუარსა ზედა ივნო, დაეფლა და აღსდგა ცხორებისათჳს ჩუენისა და ღირს არს თაყუანისცემისა და გალობისა“, ამისთჳსცა გვიყვარს, თომა, შენი ეგე ურწმუნოებაჲ საიდუმლოჲსა ამისა, რომლისა მიერ გვრწმენეს ჩუენცა იესუ ღმრთად და გევედრებით: შეგვეწიე წინაშე მისა, მოგუცეს ძლევაჲ ეშმაკთაჲ და მანქანებათა მათთაჲ შემსხმელთა შენთა და მაქებელთა:

გიხაროდენ, თომა, წმიდაო მოციქულო, რამეთუ შენ გეტყოდა იესუ: „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ;

გიხაროდენ, რამეთუ ფრიად იხარებდი, ჭურეტდი რაჲ კართა ხშულთა ქრისტეს საკჳრველად განვლასა;

გიხაროდენ, რამეთუ მცირედ ურწმუნო ქმნულსა გარწმუნა მან განშიშულებითა წმიდისა გუერდისაჲთა, რაჲთა გვრწმენეს ჩუენ მდიდრად;

გიხაროდენ, რამეთუ იჭვნეულითა გამოძიებითა შენითა აღმოფხვრიდი ძირსა ურწმუნოებისასა;

გიხაროდენ, რამეთუ ქრისტჱს თანა იყოფვოდი ნავსა შინა ზღუასა მას ტიბერიისასა;

გიხაროდენ, რამეთუ თაყუანის-ეც წყალთა ზედა ფრხივ-მავალსა უფალსა;

გიხაროდენ, რამეთუ არა დანთქმულ იქმენ წყალთა მიერ ურწმუნოებისათა;

გიხაროდენ, რამეთუ არა წარწყმედულ იქმენ ქარიშხალთა მიერ იჭვნეულობისა;

გიხაროდენ, რამეთუ უფსკრულსა დანთქუმად განმზადებულსა გიპყრა ჴელი ქრისტემან და განგიმჟღავნა საიდუმლონი ზეცისანი;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 5

ეჰა გამოუთქმელი სიმდაბლჱ ღმრთეებისაჲ, განამტკიცნა რაჲ გული შენი სარწმუნოებითა აღდგომისა თჳსისაჲთა, თაყუანს-სცემდი ჯუარცმულსა მას, ვითარცა ძესა ღმრთისასა, ხოლო იგი გეტყოდა: „შენ მიხილე და გრწმენა, არამედ ნეტარ იყვნენ, რომელთა არა უხილავ მე და ჰრწმენეს“, და აჰა, აწ ჩუენცა ყოვლისაგან იჭვისა თავისუფალნი შენებრ ვღაღადებთ: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“, და დაუცხრომელად უგალობთ და ვადიდებთ: ალილუია.

იკოსი 5

აღდგომისა თჳსისა ახალკჳრიაკჱ გაუწყათ რაჲ ქრისტემან მოწაფეთა თჳსთა, მრავალნი სხუანიცა სასწაულნი ქმნნა, და გიბრძანათ რაჲ: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“, მეერგასესა დღესა სული წმიდაჲ მოგივლინათ სახედ ცეცხლისა, რამეთუ ყოველთა იწყეთ სიტყუად უცხოთა ენათა, რაჲთა ყოველთა მიუთხრობდეთ დიდებასა ღმრთისასა, აწ ჩუენცა შეგვაწყნარე ძალსა მისსა, რაჲთა დანერგოს ჩუენ შორის სული სიწმიდისა და კაცმოყუარებისაჲ, და ღირს გვყოს ჯეროვნად შეწირვად გალობისა:

გიხაროდენ, მკუდრეთით აღდგომილისა იესუს ცხადად მხილველო;

გიხაროდენ, ღმრთეებრივისა ჴმისა მისისა მსმენელო და მისგან ზეციერისა მშჯდობისა მიმღებელო;

გიხაროდენ, მშვიდობითა ამითა ქუეყნიერებისა კიდეთა დამამშჯდებელო;

გიხაროდენ, დიდებითა ზეცად აღმაღლებისა მისისა მჭურეტელო;

გიხაროდენ, ქრისტეს მიერ აღთქმულისა სულისა წმიდისა მადლითა აღვსებულო და განათლებულო;

გიხაროდენ, მის მიერ დიდად პატივდებულო და სამკალისა მუშაკად მოწოდებულო;

გიხაროდენ, ვენახსა მისსა კეთილად დამაშურალო და ასწილისა ნაყოფისა გამომღებელო;

გიხაროდენ, წყაროო, მადლისა მდინარეთა წარმომადინებელო;

გიხაროდენ, სულისა წმიდისა ნიჭთა სიმრავლისაგან წყურიელთა სულთა დამარწყულებელო;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 6

სარწმუნოებამან ქრისტეს აღდგომისამან განგამტკიცნათ რაჲ მოციქულნი განათლებად ყოველთა წარმართთა, წილად გხვდა მოქცევაჲ ჰინდოთაჲ, და იჭვნეულ იყავ რაჲ სიძნელისათჳს ველურთა ერთა მოქცევისა, არა გენება წარსლვაჲ, გარნა ხილვასა შინა გეჩვენა უფალი, და მარადის შენთანა ყოფაჲ აღგითქუა, აწ ჩუენცა ვესავთ ოხითა შენითა შეწევნასა მისსა, რაჲთა კეთილად განვვლოთ ცხორებაჲ ჩუენი, და არცაღა დავსცხრეთ გალობად ღმრთისა: ალილუია.

იკოსი 6

ჟამსა მას მეფესა ჰინდოთასა ეწადა რაჲ აღშენებაჲ დიდებულისა სასახლისაჲ, პალესტინეს წარმოგზავნა ავან დიდვაჭარი პოვნად ხუროთმოძღვრისა, და ძიებასა მას შეგემთხვია რაჲ, მოციქულო, აღუთქვი აღსრულებაჲ სამეფოჲსა ბრძანებისაჲ, და და მრავალთა განსაცდელთა მიერ მიიწიეთ რაჲ ქუეყანასა მას, წარგადგინა წინაშე მეფისა, ხოლო მან მოგანიჭა საფასჱ დიდი, და ნაცულად პალატთა შენებისა, ოქროჲ იგი განუყავ უპოვართა, და ყოველთა უქადაგებდი ქრისტესა, აწ ჩუენცა შეგვაველრე კაცთმოყუარებასა მისსა, რაჲთა მოგვცეს სიბრძნჱ ღირსად შენდამი გალობისაჲ:

გიხაროდენ, ახოვანო მოგზაურო, ფერჯთა შენთა სახარებისა საქადაგებელად წარმმართველო;

გიხაროდენ, მწყემსო კეთილო, ცხოვართა შეცთომილთა მეძიებელო;

გიხაროდენ, მოძღუარო მრავალნაყოფიერო, მგელთა მტაცებელთა მამხილებელო;

გიხაროდენ, ჰინდოეთსა სლვისასა წარმართთათჳს სიმართლისა მაუწყებელო;

გიხაროდენ, კერპთაყვანისმცემელთა ერთა ქრისტეს ნათლისა მიმართ მომწოდებელო;

გიხაროდენ, ცნობასა სულიერსა საღმრთოსა ურიცხუთა სულთა მიმყუანებელო;

გიხაროდენ, დაცემულთა აღმადგინებელო და განწირულთა მსწრაფლ-შემწეო;

გიხაროდენ, ჭირვეულთა და ძჯრ-ხილულთა ჯელის-აღმპყრობელო;

გიხაროდენ, ქურივ-ობოლთა გამომზრდელო და მწუხარეთა ნუგეშინის-მცემელო;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 7

წარმოგზავნა რაჲ მეფემან მსახურნი თჳსნი და გკითხვიდა შენებისათჳს სასახლისა, აღუთქვი მისი მსწრაფლ დასრულებაჲ, სანატრელო, და უხუად გიბოძა რაჲ საფასჱ შესამკობელად მისა, კუალად განუყოფდი ქვრივ-ობოლთა, და მოაქცევდი მრავალთა, გარნა აუწყეს მეფესა შენ მიერ ქადაგებაჲ ახლისა ღმრთისაჲ, და წარმოგზავნა რაჲ მხედარნი შეპყრობად შენდა, უშიშად წარყვებოდი, ახოვანო, და სლვასა მას შინა ადიდებდი ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 7

გულისწყრომითა გკითხვიდა რაჲ მეფჱ გუნდაფორი აღშენებისათჳს სასახლისა, აუწყე საფასითა მით სამეუფოთა პალატთა აღგებაჲ ცათა შინა, და ახარებდი: „გარდახვალ რაჲ საწუთოჲთგან, საუკუნოდ დამკჯდრდები და იშუებ მას შინა“, გარნა ვერა გულისკმაყო სიტყუანი შენნი და შთაგაგდო რაჲ დილეგსა, ქრისტესა ღმერთსა სასოებდი და ნუგეშინისცემდი ვაჭარსა მას, შენთანა პყრობილსა, აწ ჩუენცა გვიოხე წინაშე ღმრთისა, რაჲთა განგვარინოს ყოვლისაგან ბოროტისა, და აღგვძრას შეწირვად შენდა გალობისა და ქებისა:

გიხაროდენ, ქრისტეს სახელის სადიდებელად განმამრავლებელო მრავალსახეთა სასწაულთა და სათნოებათაო;

გიხაროდენ, მისთჳს ახოვნად თავსმდებელო ურიცხუთა ღუაწლთა და განსაცდელთაო;

გიხაროდენ, სასოებითა მისითა განმანათლებელო მრავალთაო;

გიხაროდენ, ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა ზედა დამამყარებელო ურწმუნოთაო;

გიხაროდენ, მორწმუნეთაგან განმდევნელო სულიერთა ვნებათაო;

გიხაროდენ, განმამრთელებელო უღმრთოებითა მოწყლულთაო;

გიხაროდენ, ლოცვითა აღმკოცველო კერპთა და ბომონთაო;

გიხაროდენ, უფლისა მიმართ მიმყვანებელო კერპთმსახურთაო;

გიხაროდენ, თანამოღუაწეო და შემწეო შეცთომილთაო;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 8

სათნო იყო რაჲ ქრისტემან კსნაჲ შენი, წმიდაო, მეყსეულად მოკუდა ძმაჲ მეფისაჲ, და ანგელოზმან აღიტაცა რაჲ ცათა შინა, აჩვენა შენ მიერ აღშენებული სასახლჱ ძმისა თჳსისაჲ, და უკუნ-აქციეს რაჲ სული მისი ჯორცსა, აღდგა, ვითარცა ძილისაგან და უშუენიერესთა პალატთა ქონაჲ საუკუნოსა მას ცხორებასა ახარა რაჲ მეფესა, შევრდომითა გევედრებოდა მიტევებასა ბრალისასა, და აქებდა ღმერთსა, წმიდათა შორის სანატრელსა: ალილუია.

იკოსი 8

ჶ, საკჳრეველი შეწევნაჲ ღმრთისაჲ ნებისმყოფელსა მისსა, რამეთუ ორნივე ეგე ძმანი სიხარულითა შეიტკბობდენ რაჲ ქრისტეს მოძღურებასა, ნათელ-სცემდი მათ ერთა თანა, და ასწავებდი თაყუანისცემასა ყოვლადწმიდისა სამებისასა, აწ ჩუენთჳსცა ევედრე მას, განგვიმრავლოს კეთილმსახურნი მთავარნი და განმგებელნი, რაჲთა სიწრფოებითა ზრუნვიდენ ერისა ჩუენისათჳს და ჰნატრიდენ საქმეთა შენთა:

გიხაროდენ, იესუს ძედ ღმრთისად და ძედ კაცისად ყოველთათჳს მაუწყებელო;

გიხაროდენ, უცნობელთა მისთა ღმრთისმეცნიერებად მიმყვანებელო;

გიხაროდენ, ბრძენთა და კეთილად მხედველთა აღმამაღლებელო;

გიხაროდენ, სარწმუნოებისაგან განდრეკილთა შემრისხველო;

გიხაროდენ, კეთილმორწმუნეთა მაკურთხეველო და მწყალობელო;

გიხაროდენ, ეკალთა უსჯულოებისათა აღმომფხურელო და ჭეშმარიტებისა იფქლისა დამთესველო;

გიხაროდენ, სულთა წარმწყმედელთა საქმეთა აღმკოცველო;

გიხაროდენ, მეფისათჳს ზეციერისა პალატისა აღმგებელო;

გიხაროდენ, ძალითა ღმრთისაჲთა მრავალთა სასწაულთა და კურნებათა აღმასრულებელო;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 9

ოდეს ანგელოზთა აღიტაცნეს მოციქულნი და ღრუბლითა მიიწინეს იერუსალჵმად მიძინებასა ყოვლადწმიდისა დედისასა, ჶ, საკჳრველი განგებულებაჲ ძისა მისისაჲ, რამეთუ დაყოვნებულ იქმენ ჰინდოეთსა, და მიიწიე რაჲ გეთსამანიასა შემდგომ დაკრძალვისა, იყავ დიდსა მას მწუხარებასა შინა

და ფრიად გეწადა ხილვაჲ ყოვლადწმიდისა დედისაჲ, აწ ჩუენცა შეგვეწიე წინაშე მისა, რაჲთა სარწმუნოებასა შინა განგვამტკიცოს წილხვედრნი თჳსნი და აღგვძრას ქებად და გალობად ღმრთისა: ალილუია.

იკოსი 9

გესმა რაჲ გალობაჲ იგი ზეცისა ძალთაჲ ძრვასა მას ქუეყანისასა, გულისჴმა-ყავ, ვითარმედ ჟამი იგი მსგავს იყო ქრისტეს საფლავით აღდგომისა, ურწმუნო ქმნულსა გარწმუნა რაჲ განშიშულებითა წმიდისა გუერდისაჲთა, და ითხოვე განღებაჲ ღმრთისმშობლის სამარისაჲ, გარნა ვერცაღა პოვეს წმიდაჲ გუამი ქრისტეს ყოვლადწმიდისა დედისაჲ მოციქულთა, და ცრემლთა წილ აღივსენ სიხარულითა, რამეთუ მიზეზითა შენითა განცხადნა ზეცად აღყვანებაჲ მისი ძისა მიერ მისისა, და გნატრიდენ სურვილითა:

გიხაროდენ, მჭურეტელო საღმრთოჲსა განგებულებისა საიდუმლოჲსაო;

გიხაროდენ, მრავალთა განმსწავლელო სჯულსა შინა ჭეშმარიტსაო;

გიხაროდენ, ბნელსა შინა მსხდომარეთა აღმომწოდებელო ნათლისა მიმართ ცხორებისაო;

გიხაროდენ, მრავალსა ქუეყანასა განმავრცობელო ქრისტეს ეკლესიისაო;

გიხაროდენ, გეთსამანიასა ღრუბლითა მიწევნულო დატირებად ღმრთისმშობლისაო;

გიხაროდენ, საფლავისაგან მისისა გარდამგორვებელო ქვისაო;

გიხაროდენ, კაცთათჳს განმმხელელო დიდისა სახარულისაო;

გიხაროდენ, მათთჳს მახარებელო ღმრთისმშობლის აღდგომისაო;

გიხაროდენ, მსწრაფლ განმამრთელებელო ჴორცთა და სულთა უძლურებისაო;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 10

საღმრთოსა სიბრძნესა შინა განსწავლული ქრისტეს მოციქულად მოევლინე რაჲ პალესტინესა და შუამდინარეთსა, ურწმუნოებისა ბნელსა შინა დანთქმულთა განუცხადებდი სახარებისა მჴსნელსა ნათელსა, და ძალითა ღმრთისაჲთა აღასრულებდი რაჲ ნიშ-სასწაულთა და კურნებათა, აღუშენე ეკლესიანი მადლითა საღმრთოჲთა, და მღდელთა ერთა თანა ასწავებდი სამებისა ერთღმრთეებისა დიდებასა: ალილუია.

იკოსი 10

საღმრთოჲთა მოშურნეობითა აღვსილი უკუ-იქეც რაჲ ჰინდოეთსა, მრავალნი მოაქციენ ქალაქსა მელიაპორსა, და განჴურდა რაჲ მოგვი ვინმე შურითა საეშმაკოჲთა, ცილი დაგწამა მოკვლასა შინა ძისა თჳსისასა, ხოლო შენ ქრისტეს სახელითა უბრძანე განცხადებაჲ მკულელისაჲ ცხედარსა, და ვითარცა ცოცხალმან ჴმა-ყო და მკულელად სახელ-სდვა რაჲ მამასა თჳსსა, მხილველთა ამისა ქრისტე აღიარეს ღმრთად ჭეშმარიტად, რომელმანცა ესევითარი მადლი მოგანიჭა მსახურსა თჳსსა, და სასოებითა მისითა აღვსილნი გაქებდენ სარწმუნოებითა:

გიხაროდენ, ვარსკულავო ნათელმფენო, სიმართლისა მზისა - ქრისტჱს მიმართ მრავალთა წარმმართველო;

გიხაროდენ, ბრწყინვალებითა სულისა შენისაჲთა უღმრთოებისა წყუდიადისა განმფანტველო;

გიხაროდენ, საღმრთოჲთა ძალითა ურწმუნოთა ცილისწამებისა განმაქარვებელო;

გიხაროდენ, საცთურითა დაბნელებულთა პართთა და მიდიელთა განმანათლებელო;

გიხაროდენ, გირკანელთა ქრისტეს სჯულსა შინა განმსწავლელო;

გიხაროდენ, ჭეშმარიტებისა პურითა ბაქტრიელთა და ბრაჰმანთა გამომზრდელო;

გიხაროდენ, მგელთა მტაცებელთა კეთილად გარდამცვლელო;

გიხაროდენ, ქრისტეს სახელისა სადიდებელად მოგვთა გრძნებისა დამარღვეველო;

გიხაროდენ, ბოროტმზრახვალთა პირთა დამკშველო და სივერაგისა მათისა დამკსნელო;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 11

ვითარცა მოციქულმან ქრისტჱსმან წმიდაჲ და დიდებული სახელი მისი უკანაჲსკნელ ჰქადაგე რაჲ ქალაქსა კალამინსა, მოაქციე არა ხოლო თუ საყვარელი ძჱ და ცოლი მეფისა მუზდისაჲ, არამედ დიდებულნი და მსახურნი მისნი და წარგადგინეს რაჲ წინაშე მისა, ამაოდ გაიძულებდა უარყოფასა ღმრთისა შენისასა, რამეთუ პირველ გტანჯა განკურებულითა რვალითა, და მერე შთაგაგდო რაჲ მოტყინარესა მას ღუმელსა, ზეგარდამოჲთა მადლითა შეცურეული უვნებელად ჰგიებდი და ადიდებდი ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 11

ქრისტემან არცხვინა რაჲ სიმკეცესა მას მძლავრისასა, არა გულისკმა-ყო მან ნიში ეგე საღმრთოჲ, და გაიძულებდა თაყუანისცემასა მზის კერპისასა, გარნა ვითარცა ცვილი მსწრაფლ დადნა რაჲ ლოცვითა შენითა, მორწმუნენი იხარებდენ, ხოლო წარმართნი ევედრებოდენ რაჲ მეფესა მოკუდინებასა შენსა, „ვითარცა „ღმრთეებისა“ მათისა აღმხოცველსა, შეძრწუნდა უსჯულოჲ იგი, და მოკლვაჲ შენი უბრძანა მხედართა, ამისთჳსცა სამართლად პატივს გცემთ და ვღაღადებთ წადიერად:

გიხაროდენ, ღმრთისა სიტყჳსა, ვითარცა თესლისა კეთილისა დამთესველო;

გიხაროდენ, ცრუ-მორწმუნეობისა საცთურისა დამშრეტელო;

გიხროდენ, ძალითა ჯუარისაჲთა ეშმაკის სიბოროტისა დამკსნელო;

გიხაროდენ, ქრისტეს მსახურებისათჳს ზღუათა შინა და ქუეყანასა ზედა მრავალთა განსაცდელთა დამთმენელო;

გიხაროდენ, ლამპარო აღგზებულო, გონიერთა განმანათლებელო და უგუნურთა დამწველო;

გიხაროდენ, სიმდაბლითა და ლმობიერებითა შენითა ველურთა კაცთა ულმობელობისა მომდრეკელო;

გიხაროდენ, ურჩთა და ბრალეულთა სინანულად მომყვანებელო;

გიხაროდენ, კერპოვანებისა სიბნელითა გონებადაბნელებულთა ღმრთისა მიმართ მომაქცეველო;

გიხაროდენ, ჩუენ მიერ სამართლად პატივისცემულო და მარადის კსენებულო;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 12

განგიყვანეს რაჲ გარე ქალაქისა მხედართა, მორწმუნენი ტირილითა შეუდგენ კუალსა შენსა, ნეტარო, და ითხოვე რაჲ ჟამი აღსრულებისათჳს ლოცვისა, ჴელი დაასხი ხუცად სიფორსა და მეფისწულსა აზანსა დიაკონად, და ანდერძად დაუდე რაჲ განმრავლებაჲ მორწმუნეთაჲ, განგგმირეს მტარვალთა

ხუთითა ლახუარითა, და სასოებითა შეჰვედრე რაჲ წმიდაჲ სული თჳსი უფალსა, მოციქულთა და მარტჳლთა თანა დაგამკჳრა სასუფეველსა შინა თჳსსა, ხოლო მრავალმოღუაწჱ გუამი შენი დაკრძალეს მოწაფეთა შენთა პატივითა, და დაუწყვედელად აღმოაცენებდი კურნებსა და მრავალთა აღძრვიდი დიდებად ღმრთისა: ალილუია.

იკოსი 12

სიხარულითა აღივსების აწ დიდებული სიონი, რამეთუ დავანებულ არს კანკელსა მისსა წმიდაჲ და პატიოსანი თავი შენი - სასოდ და შესავედრებელად ერისა ჩუენისა, და მღდელთმთავარნი და მღდელნი მორწმუნეთა თანა წლითი-წლად აღასრულებენ რაჲ დღესასწაულსა შენსა, საფარველითა თჳსითა იცავ ყოველთა შენდა შევედრებულთა, და მიჰმადლებ უხვსა საბოძვარსა წყაროჲსაგან ულევისა მადლისა, აწ ჩუენცა მოჳსწრაფვით მიმთხვევად სიწმიდისა მის შენისა, და გიგალობთ ძალისაებრ ჩუენისა:

გიხაროდენ, ქრისტეს სიყუარულისათჳს სისხლისა დამთხეველო და სასუფეველსა მისსა დამკჳდრებულო;

გიხაროდენ, შემდგომად სიკუდილისაცა მრავალთა სულთა ქრისტეს მიმართ მიმყვანებელო;

გიხაროდენ, მტარვალისა მის მეფისა მუზდისა ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა ზედა მომაქცეველო, რამეთუ ძისა მისისაგან მეყსა შინა განვიდა სული უკეთური ნაწილთა შენთა შეხებითა:

გიხაროდენ, სუეტო სარწმუნოებისაო, რამეთუ დიდად პატივსა სცემდა სამარხოსა შენსა მეფჱ იგი და აღაგო რაჲ ტაძარი მას ზედა, მხარჱ იგი ჰინდოთაჲ, ვიდრე აქამომდე წოდებულ არს ქუეყანად „წმიდისა თომაჲსა“;

გიხაროდენ, მნათობო ქრისტეს ეკლესიისაო, რამეთუ წმინდანი ნაწილნი შენნი პირველ წარიხუნეს რაჲ შუამდინარესა, მერმე დაიუნჯეს ვითარცა იტალიამან და საბერძნეთმან, ეგრეთცა ათონმან, ივერიამან და უნგრეთმან;

გიხაროდენ, რამეთუ იხარებს დედა-ქალაქი ჩუენი დავანებისათჳს წმიდისა თავისა შენისა სიონისა ეკლესიასა შინა;

გიხაროდენ, რამეთუ იქადის გელათი მწიაღებელი წმიდათა ნაწილთა შენთა;

გიხაროდენ, რამეთუ უკუეთუ ვინმე ლოცვითა მიეახლება სიწმიდეთა მათ შენთა, იკჳსნი მათ ყოვლისაგან ბოროტისა;

გიხაროდენ, რამეთუ ერისა ჩუენისა მფარველთა მოციქულთა თანა განგადიდებთ;

გიხაროდენ, თომა მოციქულო, კეთილითა ურწმუნოებითა შენითა სარწმუნოებასა შინა განმამტკიცებელო!

კონდაკი 13

ჰ, კეთილად ღმრთისმეტყველო თომა მოციქულო, რომელმან მოვლე ყოველი სოფელი და საცთური კერპთაჲ, ვითარცა ნასხლევი დასწვენ ქრისტეს მოძღურებითა, აწ ჩუენცა აღგძრავთ მეოხებად მისა მიმართ, ურიცხუთა მტერთა და განმკრწნელთა საცთურთაგან გარე-შეცულნი დაგვიცვას ყოვლისაგან ბოროტისა, რაჲთა სიწმიდითა და ღირსებითა განვვლოთ ჟამი ცხორებისა ჩუენისაჲ, ვიდრემდის არა მივიწივნეთ ნეტართა მათ სავანეთა ზეცისათა და შენ თანა ვადიდებდეთ ყოვლადწმიდასა სამებასა: ალილუია.

ეს კონდაკი 3-გზის, შემდეგ იკოსი 1 და კონდაკი 1

სავედრებელი ლოცვა

ჭ, დიდებით შუენიერო, მოციქულო და მოწამეო ქრისტჱს ღმრთისაო, მახარებელო მშვიდობისაო და ქადაგო ყოვლად-წმიდისა სამებისაო; წყაროო მოწყალებისაო და შესავედრებელო ყოვლისა სოფლისაო, უხილავო ზედამდგომელო სიწმიდისაო, და ურწმუნოთათჳს მომმადლებელო სარწმუნოებისაო; ჭეშმარიტო წინამძღუარო ცხორებისა ჩუენისაო და უძლეველო ზესთამბრძოლო ყოვლისა საქრისტეანოჲსაო!

ჭ, ღუაწლით-შემოსილო წმიდაო მოციქულო თომა, ვერა იხილე რაჲ მკუდრეთით აღმდგარი მაცხოვარი ზეგარდამოჲთა დაშვებითა, ურწმუნო ქმნულსა გარწმუნა განშიშულებითა წმიდისა გუერდისაჲთა, და სხუათა მათ მოციქულთა თანა წარგავლინა რაჲ ქადაგებად სასუფეველისა, მოვლე ყოველი სოფელი, და ნათელი მისი განფინე რაჲ ჰინდოეთსა, სიბნელჱ მკჳდრთა მისთა განაბრწყინვე, დიდებულო, და ძედ ნათლისა და დღისა გამოაჩინენ სულითა, აწ ჩუენცა გევედრებით მეოხებასა წინაშე ღმრთისა, განაქარვოს რისხვაჲ აღდგომილი ჩუენ ზედა, სიმრავლისაგან ცოდვათა ჩუენთასა, და აღაგზოს გულსა შინა ჩუენსა საღმრთოჲ ცეცხლი მოშურნეობისაჲ, რაჲთა ერთობითა ვჰბრძოდეთ ყოველთა წინააღმდგომთა მისთა, და ვიყოთ ერთ სამწყსოჲ და უფალი იყოს მწყემს ჩუენდა. მრავალ-შემძლებელითა ძალითა შენითა დაიფარე და განაძლიერე მსახურებასა შინა დიდი მეუფჱ ჩუენი, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, მამაჲ ჩუენი ილია, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზვნო წესნი, ზიარნი მართლმადიდებელისა ეკლესიისანი და ყოველნი მართლმორწმუნენი ქრისტეანენი.

ჭ, ყოველთა ქრისტეანეთა საქებელო, და შესავედრებელო ჩუენო, წმიდაო თომა მარჩბივო, გამოგირჩია რაჲ კაცთა ცხოვნებად მოსრულმან ღმერთმან მოწაფედ თჳსად და მოციქულად, მოგცა ჴელმწიფებაჲ სნეულთა კურნებისაჲ, კეთროვანთა განწმედისაჲ, მკუდართა აღდგინებისაჲ და ეშმაკთა განდევნისაჲ, და აჰა, აწ წინაშე საყდარსა მისსა მდგომარემან შეიწირე ვედრებანი ჩუენნი და შეგვაწყნარე სახიერებასა მისსა, რაჲთა დაგვიფაროს სიყმილისაგან, სრვისა, ძრვისა, რღუნისა, ცეცხლისა, მახჳლისა, ჴდომათაგან მტერთაჲსა, ძმათამკულელთა ბრძოლათაგან, მძლავრებისაგან ანტიქრისტჱსა და საცთურთაგან მისთა, რაჲთა განვერნეთ ყოველთა საბრჴეთა სოფლისათა და წარუვალსა შუებასა მიმთხუეულნი დაუცხრომელად უგალობდეთ ყოვლადწმიდასა სამებასა, მამასა, ძესა და სულსა წმიდასა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღირს არს ჭეშმარიტად, რაჲთა გადიდებდეთ, შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა, უპატიოსნესსა ქერობინთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისაჲსა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებთ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო, შეგჳწყალენ (3-გზის).

უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისაჲთა, წმიდისა თომა მოციქულისა და ყოველთა წმიდათა შენთაჲთა, შეგჳწყალენ ჩუენ, ამინ.

შეადგინა თინათინ მჭედლიშვილმა

რედაქტორი ნონა ნამგალაძე